ჩვენი გზა

№ 7

თფილისი

1907

ოთხშაბათი, 12 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა"-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა"-ს რედაქციაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза", Великокняжеская № 35.

№ 7 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 7

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза", Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა"-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань" **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**

თფილისის სადგილ-მამულო ბანკის შენობაში დღეს, ოთხშაბათს, 12 სექტემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, დანიშნულია პანაშვიდი ხერსონში გარდაცვალებული ფინანსთა მინისტრის ყოფილი რწმუნებულის

ალექსი ბორისის ძე მიხაილოვის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ბანკის გამგეობა აუწყებს გარდაცვალებულის პატივისმცემელთ.

საამდროვო სამეცნიერო

გამომცემლობა „კოლხიდა"

„მეტი სინათლე"!

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიებსა და გაზეთების აგენტებთან „კოლხიდა"-ს გამოცემა

„ანარქიზმი"

ნ. უ.

ფასი 30 კაპ.

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი ყურის, ყელის და ცხვირისა იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

სააკადემიო წლის გახსნის გამო

II

წინა წერილში, სხვათა შორის, აღვნიშნეთ ის მიზეზები, რისთვისაც ბიუროკრატიას მიზნათ აუღია სახალხო სწავლა-განათლების საქმე, რაც შეიძლება, მეტათ შეზღუდოს და შებორკოს. ეხლა ვიკითხოთ, რაღა დააშავეს უმაღლესმა სასწავლებლებმა?*) აქ ხომ მდაბიო ხალხის შვილებს ძალიან ძვირათ შევხვდებით, აქ თითქმის ყველა სკამები ბურჟუაზიის შვილებით არის დაჭერილი; ბურჟუაზია კი საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ყველა თანამედროვე სახელმწიფოში აღსარებულია უტყუარ ბურჯათ საზოგადოებრივ წესიერებისა და ყოველგვარ სიკეთე-სათნოებისა.**) საქმე ის არის, რომ რუსეთში მთავრობას ბურჟუაზიასთანაც კაი ხანია „ხიდი ჩაუტყდა". განა ბურჟუაზია არ იყო, რომ პირველ და მეორე სახ. დუმაში დასდასობით გაგზავნა „კრამოლნიკი" დეპუტატები? მარა დუმის ლოდინი მთავრობას სრულებითაც არ დასჭირვებია იმას გასაგებათ, თუ რამდენათ კეთილსაიმედო იყო მისთვის საუნივერსიტეტო ახალგაზდობა. განმათავისუფლებელ მოძრაობის ხსენებაც კი ჯერ არსად იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელში „კრამოლა" უკვე დიდ უწესოებას ახდენდა. საუნივერსიტეტო მოძრაობას და სხვადასხვა გვარ ამბოხებათ უკვე თავისი გრძელი ისტორია მოეპოება. და რომ სწორეთ აქ არის მიზეზი, რისთვისაც ბიუროკრატია წინ ეღობება უმაღლეს სწავლა-განათლების გავრცელებას, ამას ნათლათ მოწმობს შემდეგი ოფიციალური დოკუმენტი.

როდესაც ამ წლის აპრილში მინისტრთა საბჭოს თათბირი ქონდა იმაზე, რომ ვარშავაში დახურული უნივერსიტეტი კვლავ გახსნილიყო ქ. სარატოვში, ბ-ნნი შვანებახი და ბოსტრემი (საზღვაო მინისტრის ამხანაგი) დიდ წინააღმდეგობას აცხადებდენ უნივერსიტეტის გახსნაზე და ასე ასაბუთებდენ თავიანთ აზრს: „ყველამ კარგათ უწყის, რა უკიდურეს გახრწნილებამდე მივიდა ჩვენი უმაღლესი სკოლა; იგი მეცნიერების ტაძარი კი აღარ არის, არამედ რევოლიუციონურ მოძრაობის დასაყრდნობი პუნქტია, სადაც ეგრეთ წოდებულ ავტონომიის ამოფარებულნი აღვივებენ რევოლიუციონურ „სმუტას" (ამბოხებას) და ამზადებენ პოლიტიკურ დანაშაულობას... ერთის სიტყვით, იმის მაგივრათ, რომ ცეცხლი ერთ ადგილას შეჩერდეს და ჩაქრობილ იქნას უკვე აგიზგიზებული ცეცხლი, თქვენ გინდათ ახალი კერა გააჩინოთ... სად არის გარანტია, რომ ახალ უნივერსიტეტში სწავლა უკეთ წავა, ვიდრე უკვე არსებულ უნივერსიტეტებში? პირიქით, განა მოსალოდნელი არ არის, რომ ამ უნივერსიტეტშიაც, რომლის გახსნა განზრახულია იმავე საფუძველზე, რამაც უმაღლესი სკოლა მიიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე, და რომელიც უნდა გაიხსნას პროვინციალურ ქალაქის ისეთ ცენტრში, სადაც რევოლიუციონური პროპაგანდა ისედაც ძლიერია, განა მოსალოდნელი არ არის, რომ ამ უნივერსიტეტშიაც თავს იჩენენ იგივე სამწუხარო მოვლენანი, რასაც ამ უკანასკნელ წლებში ვხვდებით თითქმის ყველა სასწავლებლებში? ყველა ზემორე ნათქვამი გვარწმუნებს, რომ ახალ უნივერსიტეტის გახსნაზე საკითხის აღძრა ამჟამათ უაღრესათ დროს შეუფერებელია". ამგვარათ ამეტყველებულ ბატონებს კვერს უკრავს სამიწათმოქმედო მინისტრი ვასილჩიკოვი. მისი აზრითაც უმაღლესი განათლების მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა გადიდოს იმ დრომდე, „ვინემ არ მოისპობოდეს განმათავისუფლებელი, ანუ უკეთ, რევოლიუციონური „პსიხოზი" (ატაცება) რასაც მოუცავს დიდი უმრავლესობა იმ პირთა, ვინც თავის თავს ათვლიან ეგრეთ წოდებულ ინტელიგენციას".

ამგვარათ ჩნდება სახელმწიფოში უცნაური მდგომარეობა. მთავრობას არამც თუ არ ძალუძს დააკმაყოფილოს თუნდ მესამედი ნაწილი ქვეყნის მოთხოვნისა სწავლა-განათლების საქმეში, არამედ იგი გულ-აკორკოტებული ითმენს უკვე არსებულ სკოლებს და მთელ თავის ძალას ჰხარჯავს ინტელიგენციასა და მოსწავლე ახალგაზდობის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც სიმბოლო მთავრობისა და უმაღლეს სასწავლებელთა შორის არსებულ განწყობილებისა, წელს ყველა უმაღლეს სკოლის კარებთან ამართულია მრისხანე ფიგურა პოლიციელისა. მთავრობის ცირკულიარით უნივერსიტეტში სწავლის მსურველი ვალდებულია წარადგინოს პოლიციელის მოწმობა, რომ იგი კეთილ-საიმედოა. (უკანასკნელ ვადათ ამ მოწმობის შესატანათ დანიშნულია 1-ლი ოქტომბერი) საყურადღებოა, რომ—როგორც აღნიშნეს თვით ზოგიერთმა პროფესორებმა—ეს ცირკულიარი პირდაპირ ეწინააღმდეგება და უარყოფს უნივერსიტეტისაგან უკვე მოპოებულ უფლებას, სახელდობრ 1906 წლის 26 აგვისტოს უკაზს, რომლის მიხედვით უნივერსიტეტში მიღება და მიღების პირობების განსაზღვრა გადაეცა თვით უმაღლეს სასწავლებელთა საბჭოებს. მარა აკი ერთი ხანია მთავრობა გულდასმით შეუდგა გააბათილოს ყველა ის ავტონომიური უფლებები, რომელიც უმაღლესმა სკოლამ მოიპოვა იმ დროს, როცა განმათავისუფლებელ მოძრაობის ტალღები მაღლა იყო აწეული.

ასეთია პირობები და ამიტომ ყველას თავში უტრიალებს საკითხი—როგორი იქნება ეს საკადემიო წელიწადი, რას უმზადებს მოსწავლე ახალგაზდობას ხვალინდელი დღე?

წინასწარმეტყველება, რასაკვირველია, ძნელია, მარა ის კი ეჭვს გარეშეა, რომ სკოლის ცხოვრება ჯერ არ ჩამდგარა მშვიდობიან და ნორმალურ კალაპოტში, რადგან ჯერ ისევ მოიპოვება ყველა ის პირობები, რაიც იწვევდა ხოლმე მოსწავლე ახალგაზდობის დაუდგრომლობას, ამბოხებას და ეგრედ წოდებულ სტუდენტობის მოძრაობას.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ უკანასკნელმა თავი იჩინა, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა განმათავისუფლებელი მოძრაობას ხსენებაც არ იყო. ორი რამ იწვევდა სტუდენტობის მოძრაობას: სკოლის შინაური მდგომარეობა—სწავლის დაყენების უვარგისობა და ის პირობები, რომელიც სკოლას საპყრობილეთა ხდიდენ; მეორე მხრივ, სკოლის გარეთ არსებული ქვეყნის საერთო ბედშავი მდგომარეობა—ხალხის უზომო სიღნელე-სიღატაკე და ათასი სიდუხჭირე, მოქალაქობრივ ცხოვრების არარაობა და საერთო პოლიტიკური მონობა. იმ დროს, სტუდენტების ყოველგვარ მღელვარების გამო, საშინლათ დარტყინავდენ ხოლმე „მამები" და ჰგმობდენ სტუდენტების „სულელურ ოცნებათ", განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებიდან კი, „მამები" უკვე შეუერთდენ „შვილებს" და ამ უკანასკნელთა წარსულ მოქმედებასაც ქებით-დიდებით იხსენიებდენ, მაგრამ აი დღეს ცოტა კიდევ შესცვალეს კილო; იგინი ურჩევენ „შვილებს" ჩამოშორდენ ყოველგვარ აქტიურ „მოძრაობას" და გულ მოდგინეთ, და მშვიდობიანათ მიეცენ სწავლა-მეცადინეობას, ვინაიდან სწავლა, მეცნიერება ის უტყუარი იარაღია, რომლის მეოხებით განმანთავისუფლებელი მოძრაობა უეჭველათ მიაღწევს გამარჯვებას და რომ, თუ განათლება და მეცნიერება არ იქნება, მაშინ არც ავტონომია, არც კონსტიტუცია და არც აღარავითარი სახელმწიფო აღარ იქნებაო. „ყველაფერი დაიღუპებაო". ასეთი აზრების წერილი გამოაქვეყნა ამ დღეებში, სხვათა შორის, ცნობილმა თ. ევ. ტრუბეცკოიმ.

მარა ცოტა სხვანაირათ ფიქრობს მოსწავლე ახალგაზდობა. ამ საკადემიო წლის დაწყებისას გამართულ კონფერენციაზე, სადაც წარმოდგენილი იყვენ სხვადასხვა უმაღლეს სკოლების ცენტრალური ორგანოები და სტუდენტობის მამასახლისთა საბჭოები, ცხარეთ კამათობდენ ასეთ წინადადების შესახებ, „გამოცხადდეს 3 დღის გაფიცვა ნიშნათ პროტესტისა ახალ (უნივერსიტეტების შემზღუდავ) წესების წინააღმდეგ და იმის აღსანიშნავათ, რომ სტუდენტობას კიდევ შეუძლიათ ბრძოლა თავის უფლებებისთვის. მართალია ეს წინადადება არ იქნა მიღებული, მარა ამით სტუდენტობამ გამოიჩინა არა სისუსტე ანუ ბრძოლის უარისყოფა, არამედ დაამტკიცა უფრო მეტი პოლიტიკური შეგნება, ვინემ მას წინათ ქონდა...

სტუდენტობამ უკვე შეიგნო, რომ ორივე მიზეზი, რომელიც მას ამოძრავებს: სკოლისა და ქვეყნის მდგომარეობა—ორგანიულათ არის შეერთებული და ერთი საკითხი უმეოროთ ვერ გადასწყდება. დღეს ხალხი უკვე გამოერკვა სალათას ძილიდან, იგი ამოძრავდა, სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებათაც დაეწყო. აქედან დასანახია სტუდენტობის მოვალეობა. მან თავისი საქმე ერთიანათ უნდა შეუერთოს ხალხს და მის მეთაურ, ხელმძღვანელ ორგანიზაციას უნდა შეუწონოს ყოველი ნაბიჯი თავისი მოქმედებისა.

პოლიტიკური მიმოხილვა.

რუსეთის პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ორ საინტერესო აქტს დღევანდელი საგარეო პოლიტიკისას. ეს ორი აქტი შემდეგია: 1) რუსეთ-იაპონიის ახალი სავაჭრო, საზღვაო, სათევზაო და სამგზავრო ხელშეკრულობა და 2) ჩვენი წარმომადგენლის მოქმედება სპარსეთში. პირველ საკითხს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მეორეს სერიოზიული კონფლიქტი შეუძლია გამოიწვიოს. პორტსმუტის ხელშეკრულობის შემდეგ მუშაობდა სპეციალური კომისია მისი რატიფიკაციისათვის. კომისიაში რამოდენიმეჯერ დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. ყველაზე მეტი სერიოზული შეტაკება მარშან მოხდა; საშიში იყო, რომ ომი ისევ არ დაწყებულიყო. შეჯახება შემდეგ ნიადაგზე გაიმართა: პორტ-სმუტის ხელშეკრულობა დაწერილია ორ ენაზე, ინგლისურზე და ფრანგულზე. დედანში ნახმარი სხვადასხვა ენის ტერმინები ერთნაირათ არ გადმოცემდენ შინაარს, შესაძლებელი იყო მათი სხვა და სხვა გვარათ გაგება. უთანხმოება შემდეგ სამ საკითხმა გამოიწვია: ა) აქვს თუ არა იაპონიის ნება ზღვებში თევზის გარდა კიდევ სხვა წყლის ცხოველით ისარგებლოს, ბ) აქვს თუ არა ნება ითევზაოს განაპირა მდინარეებში და ნავთსადგურში და გ) ეძლევა თუ არა მას ნაპირზე საკმაო ადგილი თევზის დასაჭერათ. დიდი კამათის შემდეგ ეს და ბევრი სხვა კითხვები ხელშეკრულობათ ჩამოყალიბდა. აქტებს 15 ივლისში მოაწერეს ხელი პეტერბურგში ორივე დაინტერესებული მხრის წარმომადგენლებმა, მარა ის მხოლოდ ეხლა გამოაქვეყნეს. როგორც ხელშეკრულობიდან ჩანს იაპონიას მეტი უფლება მოუპოვებია. უკანასკნელი ხელშეკრულობა ბევრით განსხვავდება 1895 წ. ხელშეკრულობისაგან. განსხვავება ორ მთავარ მუხლშია, რომლებიც შეეხებიან სავაჭროს და სათევზოს. მართალია, ხელშეკრულობა ამბობს, რომ „მისმა უდიდებულესობამ სრულიათ რუსეთის იმპერატორმა და მისმა უდიდებულესობამ იაპონიის იმპერატორმა, ერთგვარათ აღგზნებულებმა სურვილით, რომ სავაჭრო დამოკიდებულება განავითარონ, გადაწყვიტეს პორტსმუტის მშვიდობიანობის ხელშეკრულობის მეთორმეტე მუხლის თანახმათ, შეკრან სავაჭრო და საზღვაო ტრაქტატი **სიმართლის და ორივესათვის სარგებლობის** ნიადაგზე"-ო, მარა ნამდვილათ კი ასე არაა. პირველი მუხლის ძალით ორივე ქვეყნის ქვეშევრდომთ სრული ნება ეძლევათ თავისუფალი მისვლა-მოსვლის და ცხოვრების, შეუძლიან მოიპოვონ საკუთრება, ეძლევათ რწმენის თავისუფლათ აღიარების ნება, უძრავი ქონების შეძენის და დამუშავება-მოხმარის ნება და სხვა; აქ ჩამოთვლილი უფლებები ეძლევათ ორივე მხარის ქვეშევრდომთ ისე, როგორც ყველა სხვა მეგობარ სახელმწიფოს ქვეშევრდომთ. გარეგნობით სრული თანასწორობაა, მარა მხოლოდ გარეგნობით. შინაარსი აი ასეთია: იაპონიაში რუსებს არ ეძლევა ნება მიწა იყიდონ (იქ არც სხვა მეგობარ სახელმწიფოს ქვეშევრდომს აქვს ნება), რუსეთში იაპონელს ამის სრული

---

*) წელს მაგ. მარტო მოსკოვმა და პეტერბურგმა 20 ათასი უმაღლესი სწავლის მთხოვნელი დასტოვა პირში ჩალა გამოვლებული.

**) ასე მაგ. როცა ამ 5 დე წლის წინათ ბელგიაში დიდი სახალხო მოძრაობა და სარევოლიუციო მანიფესტაციები იყო „მრავალ ხმოვან" საარჩევნო სისტემის გასაუქმებლათ, მთელი სტუდენტები, თითო-ოროლა კაცის გარდა, ერთხმათ გაჰყვიროდა სტოლიპინის მიერ ამორჩეულ დევიზს: „ჯერ წესიერება და მერე რეფორმებიო".

ნება ექნება (რუსეთში სხვებსაც აქვს ასეთი ნება). ასეთი განსხვავებაზე ვერ შეგვიძლია დავსაჩივლოთ.

განვიხილოთ სათევზაო კონვენცია. ხელშეკრულობაში წერია, რომ „რუსეთის საიმპერატორო მთავრობა ნებას აძლევს იაპონიის ქვეშევრდომთ დაიჭიროს, შეკრიბოს და დაამზადოს ყოველგვარი თევზი და ზღვის პროდუქტიო“. ასეთივე უფლებას აძლევს იაპონიის მთავრობა რუსეთის ქვეშევრდომთაც. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ იაპონიისათვის აღნიშნულ მუხლს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, ჩვენთვის კი არავითარი. იაპონიის მეთევზეები [illegible] თევზს [illegible]ბი კი ძლიერ ცოტას. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მძლავრი კონკურენტი [illegible] შეაფერხებს წარმოების დასახელებული დარგის განვითარებას. სავაჭრო ხელშეკრულება ძალაშია 1910 წლამდე, სათევზაო კი ვერ დაირღვევა თორმეტი წლის განმავლობაში.

ასეთია შედეგი იმათი მოღვაწეობისა, ვინც ცუსიმა და მუკდენი დაგვიმზადა.

* *

ჩვენი დიპლომატები დიდი ტაქტიკის ხალხი არასოდეს არ იყო. ამის მიზეზი ჩვენებური პრივილეგიებია. დიპლომატია დღემდის მდიდარი არისტოკრატიის პრივილეგიათ ითვლება; ამიტომაც ძალიან ძნელათ შეუძლია იქ გზა გაიკაფოს ჭკუამ და ნიჭმა. უკანასკნელ დღეებში თავი ისახელა ჩვენმა წარმომადგენელმა სპარსეთში.

სპარსეთის კონსტიტუციონურ გზაზე მაგრათ დადგომა ბევრ თავისუფლების მტერს გულს უკლავს. დღემდის სპარსეთი გემრიელი ლუკმა იყო, დღეს კი ის საკუთარ ფეხზე სიარულს სწავლობს და ღონეს იკრებს. გასაკვირველია განა, რომ ევროპის მადა-გახსნილი დევ-გმირები ნაწყენი დარჩენ?

„კელნის გაზეთი“ გადმოგვცემს, რომ რუსეთის წარმომადგენელმა ფონ-გარტვიგმა მეჯლისის პრეზიდენტს წერილით მიმართა, სადაც ის სწერს, რომ დღეის მდგომარეობამ ზოგ განაპირა ადგილებში არეულობა გამოიწვიაო; იქ რუსეთის ქვეშევრდომნი დაზარალდენ და ამის უყურადღებოთ დატოვება რუსეთს არ შეუძლიაო. ბოლოს გარტვიგი სწერს, რომ თუ მეჯლისი ზომებს არ მიიღებს, მაშინ რუსეთი სამხედრო ძალას მიმართავსო.

მეჯლის'ის პრეზიდენტს ჩვენი წარმომადგენლისათვის წერილი უკან დაუბრუნებია.

სატახტო პროგრესიული გაზეთები კითხულობენ, მართალია ყველა ეს თუ არა; თუ მართალია, მაშინ გარტვიგი დაითხოვეს თუ არაო. სამინისტრო გაჩუმებულია.

ახალი ამბავი

თფ. თვითმართველობის შემოსავალი. 1907 წ. 1 ინვრიდან 1 აგვისტომდე თფილისის თვითმართველობის კასას ქონია შემოსავალი სხვა და სხვა წყაროებიდან: 1) შესაფასებელი გადასახადის დარჩენილი ნედოიმკებით 300,823 მან., 2) სახლის პატრონებისაგან—ჯარიმა 30,594 მან. 3) ტრაქტირების და სხვა მაგარ სასმელების დაწესებულებათაგან 33,875 მან., 4) ცხენზე შეწერილ გადასახადიდან—28,380 მან., 5) ქალაქის მიწებისაგან, რომელიც კერძო პირებზე იჯარით არის გაცემული 18,466 მან., 6) იჯარით გაცემულ ქალაქის სახლებისაგან—16,317 მან., 7) ვოდოპროვოდისაგან—133,741 მან., 8) საქონლის ბინებისაგან—22,766 მან., 9) საყასბოებიდან=7,035 მან. და 10) ბამბაკის კარიერიდან (ოთხკუთხი ქვისაგან) 74,944 მან. სულ შემოსავალი: 660,894 მანეთი.

◆ **დადგენილება.** კვირა საღამოს 9 სექტემბერს, დელეგატებმა, რომლებიც მოვიდენ სხვადასხვ. ადგილებიდან ი. ჭავჭავაძის პატივ-საცემლათ გადასწყვიტეს დაარსებულ იქნას ილია ჭავჭავაძის სახელობაზე სახალხო ფონდი, რომელიც მოხმარდება წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის განკარგულებით ქართულ სკოლების გამრავლებას.

◆ **წინადადება.** თიფილისის გენერალ-გუბერნატორმა გაუგზავნა ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრისა, თფილისის ქალაქის საბჭოს სტატისტიკურ ბიუროს საარჩევნო წესების შესახებ სახ. სათათბიროში.

◆ ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბაში მომუშავეთა ერთმა ჯგუფმა, განურჩევლათ მიმართულებისა და ეროვნებისა, გაუგზავნეს გვირგვინი ი. ჭავჭავაძეს როგორც პოეტს და ბელეტრისტს.

◆ **ახალი კავშირი** თფილისის მედროგეები აპირებენ პროფ. კავშირის დაარსებას.

როგორც გადმოგვცეს, უკანასკნელ დროს გამწვავებულია მდგომარეობა მედროგეებისა და შეშის მოიჯარადრეთა შორის საზოგადოს საქონლოს—კერძოთ შეშის გადასატან ნიხრის შესახებ.

◆ **ჩხრეკა.** 9 სექტემბერს საღამოს გაჩხრიკეს სახლი სომხის მღვდლის ტერვიუთაგანიანისა ამავე დროს გაჩხრიკეს ავანიანის ტიპოგრაფია, არც პირველში არც მეორეში არაფერი საწინააღმდეგო არ აღმოუჩენიათ. არავინ დაუპატიმრებიათ.

◆ **გასამართლება.** 10 სექტემბრიდან თფილის ს სასამართლო პალატაში დაიწყო საქმის გარჩევა თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე 16 კაცისა. მათ ბრალდებათ 1905 წ. დეკემბერში საერთო გაფიცვის გამოწვევა, მასში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულთ იცავს ნაფიცი ვექილები, ბარათაშვილი, გრუზენბერგი, ზროცკი და ელიავა პროცესი 3—4 დღეს გასტანს.

◆ **სამსახურში დაბრუნება.** ოტპუსკიდან დაბრუნდა და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას ქალაქ თფილისის სანიტარული ექიმი გ. ნ. სტეფანოვი.

◆ **თავის მოკვლა.** 10 სექტემბერს შუაღამისას თფილისის მიხაილოვის საავამთყოფოში მიუყვანიათ ხუთ ალაგას მძიმეთ დაჭრილი ბაქოს პოლიცმეისტრათ ნამყოფი ჟღენტის ცოლი ოლღა სტეფანოვის ასული, რომელიც იმ ღამესვე გარდაიცვალა საავათმყოფოში, როგორც გადმოგვცეს მას თვითონ განუზრახავს თავის მოკვლა თავის სახლში ქუჩაზე.

◆ **პრინცის გამგზავრება.** გუშინ 11 სექტემბერს გაემგზავრა ეჩმიაძინში საქსონიის პრინცი მორიხი.

◆ **თფილისის გენ.-გუბ. განკარგულებანი.** გორის მაზრის სოფ. წაბლიანის მცხოვრები გელაშვილი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისა, გადასახლებულ იქნა ვიატკის გუბერნიაში პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდე. თფილისის მცხოვრებნი ნ. გურნბეკოვა, ალავერდოვის ქუჩაზე; თფილისის მოქალაქე შაქრო მარტიროზოვი კოტლიარევის ქუჩაზე; გამგე სათავ.-აზნაურო ბანკის სახლებისა და მეტეხის ქუჩაზე ალიხანოვი მათი სახლების ეზოების ანტისანიტარული მდგომარეობისათვის დაპატიმრებულ იქნენ თითო 25 მან. თფილისის მცხოვრები ა. არუთინოვი (ორთაჭალაში დუქანი აქვს) და ამავე დუქნის მეპარონე მ. ჯავახოვი, როგორც მავნე პირნი საზოგადოებისათვის, დაჯარიმებულ იქნენ ციხეში ჯდომით სამი თვის ვადით, შემდეგ იგზავნებიან პერმის გუბერნიაში პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხ. წეს. მოხსნამდე. იაროსლავის გუბერნიის მცხოვრები გლეხი ს. ფროლოვი შეურაცყოფისათვის პოლიციის მოხელეთა სამსახურის ასრულების დროს, დაპატიმრებულ იქნა ციხეში ორი თვის ვადით. „დვორცოვი ნომრების“ პატრონი ქ. ზინაიდა სოლომონოვასა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის სადრესო სტოლის შესახებ დაჯარიმებულ იქნა 50 მან. ვერხნე ორუზმანის მცხოვრებს ნაბიუ სოიუნუ-ოღლი და კამარლოს მცხოვრებ აინუ ოსმან-ოღლის, როგორც მავნე პირთ საზოგადოებისათვის, აეკრძალათ თფილისის საგენერალ-გუბერნატოროში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე. დიდუბეში მცხოვრები, ანდრეევის ქუჩაზე მოვაჭრე მედუქნე გ. ლომაძე დაჯარიმებულ იქნა იმდენი სუმით, რაც საჭირო იქნება ერთი მეეზოვის დასაქირავებლათ. სასტუმრო „სეეტში“ მოსამსახურეებს, ვაკზლის ქუჩაზე: რაჭის მაზრის მცხოვრებ კარის კაცს მინა პარეიშვილს, კანტორშჩიკს თფილისის მოქალაქეს ვლადიმ. შავთვალიშვილს, მოსამსახურეს სენაკის მაზრისას არტემ ბაქრაძეს და მის თანაშემწეს მოსამსახურის იმავე მაზრის მცხოვრებს ბიკტორ ბაქრაძეს როგორც მავნე პირთ საზოგადოებისათვის აეკრძალათ ცხოვრება თფილისში და თფილისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.

რუსეთის პრესა

ავტონომია ვერ მოგართვეს!

რაკი ამას წინათ ოფიციოზები შელაპარაკდენ, მათ ერთმანეთის ბევრგვარი ცოდვებიც გამოამჟღავნეს. „როსიამ“, სხვათა შორის, დაასახელა, რომ მენშიკოვი ერთხელ ავტონომიას ემხრობოდაო. „ნოვ. ვრ.“ საბელადმა თავი იმართლა— მე ყველა განაპირა ქვეყნებისთვის კი არ ვითხოვდი ავტონომიას, არამედ მხოლოდ ერთისათვის, „რომელიც უფრო მძიმე ტვირთათ გვაწევება“, სახელდობრ პოლონეთისათვისო. მარა, როგორც [illegible], ეხლანდელ მთავრობამ [illegible] მაში არც პოლონეთს [illegible]-დის; ცხადია, მენშიკოვი გაება ხაფანგში და ამიტომაც „როსია“ გამარჯვებული სახით სწერს:

> „სანამ ეხლანდელი მთავრობა არსებობს, ვერც პოლონეთი და ვერც სხვა რომელიმე ოლქი ავტონომიას ვერ მიიღებს. ...თეორეტიულათ რომ ვიმსჯელოთ, ავტონომია შეიძლება მშვენიერი რამეც იყოს („როსია“ გულს უკეთებს დამარცხებულ ამხანაგს) ელზას ლოთრენს, უავტონომიოთაც, მოეპოვება ორი პალატა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ესენი არ ეთანხმებიან ნამესტნიკს, ადგილობრივ კანონმდებლობის საქმეები გადაეცემა ხოლმე საიმპერიო პარლამენტს. ინგლისის კოლონიების ავტონომიაზე ხომ რაღა ვილაპარაკოთ. მაგრამ ამ სახელმწიფოებში განაპირა ქვეყნებს ავტონომიები მიეცათ ცენტრალურ მთავრობის ძლიერების ნამეტანობისაგან. ძლიერი, მაგარი სახელმწიფო, რომლის ცენტრი უფრო კულტურულია, ვინემ განაპირა ქვეყნები, ესეთი სახელმწიფო შეიძლებს ძლევა-მოსილი ხელით ავტონომიური უფლებები დაურიგოს თავის განაპირა ქვეყნებს.
>
> მაგრამ ჩვენ ვიმყოფებით აღშენების ხანაში. ჩვენი ცენტრალური მთავრობა ეხლა მაგრდება... და ყოველივე ცდაზე, უცები იერიშით თუ ძალდატანებით გამოსტაცონ მას სისუსტის სიტყვა, გამოსტაცონ თანხმობა შესუსტებულ იქნას კავშირი სახელმწიფოს ცენტრისა განაპირა ქვეყნებთან, ყოველსავე ასეთ ცდაზე მთავრობა მტკიცეთ უპასუხებს: „არა“.

როგორც ხედავთ, მთავრობის გაზეთი „როსია“ ერთობ მოურიდებლათ აცხადებს, რომ განაპირა ქვეყნების ავტონომიას წინ ეღობება ცენტრალურ მთავრობის უკულტურობა და უძლურებაო. მარა ოფიციოზიივიწყებს საკითხის ერთ მნიშვნელოვან მხარეს. სახელდობრ, სახელმწიფოს ცენტრის კულტურულ განვითარებას და ძლიერების მოკრებას წინ ეღობება სწორეთ ის გარემოებაც, რომ მთავრობა ცდილობს სახელმწიფოს ერთიანობა დაიცვას მხოლოდ მექანიკურათ, მხოლოდ ფიზიკურ ძალის საშვალებით და სრულებითაც არ ფიქრობს ანგარიში გაუწიოს განაპირა ქვეყნების ადგილობრივ საჭიროებათ და მოთხოვნილებათ. ამ რიგათ აქაც მოჯადოებული წრე ჩნდება, მთავრობა ამ საკითხშიაც „ტუპიკს“ მიადგა.

რუსეთის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა

(შემდეგი, იხ. „ჩვ. გზა“ № 5)

არც ვაჭრები იყვნენ ჩუმათ. ესენიც გოდებდენ თ.-აზნაურებზე და იცავდენ თავის ინტერესებს. მაგალითათ, კოსტრომის ვაჭარ-ფაბრიკანტები სთხოვენ აეკრძალოს თ.-აზნაურებს ვაჭრობა და ფაბრიკული წარმოება. მაგრამ ცხოვრების პირობები მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. აღძრულ კითხვის გადამწყვეტი ხომ მთავრობა—თ.-აზნაურობის ინტერესების დამცველი—იყო. ზედი-ზედ გამოდის უქაზები, რომლითაც მნიშვნელოვანი ზიანი ეძლევა ვაჭარ-ფაბრიკანტების უფლებებს. ჯერ 1752 წ. უქაზით უფლება ფაბრიკანტების ყმურ შრომაზე იზღუდება: წესდება რიცხვი მუშების, რომლის ზევით წასვლა მათ ყიდვაში შეუძლებელია. მერე 1762 წ. უქაზით სრულიად ისპობა ეს უფლებაც და ფაბრიკანტებს ეკრძალებათ გლეხების ყიდვა ფაბრიკა-ზავოდებისთვის, როგორც მიწით, აგრეთვე უმიწოთაც. ამას მოჰყვა მთავრობისაგან სამუშაოს არა ვაჭარ-ფაბრიკანტების, არამედ აზნაურებისათვის გადაცემა და რადგან ფაბრიკულ-ზავოდული წარმოება დიდათ სარგებლიან დარგს წარმოადგენდა უკანასკნელებისაგან თავის წარმოებების გაჩაღება.

ფაბრიკანტების შემადგენლობა შეიცვალა: თუ წინათ უმრავლესი მათი ნაწილი მსხვილ ვაჭრებისაგან შესდგებოდა, ეხლა მათ ზედ დაემატა აზნაურები, და არა თუ დაემატა, არამედ ფაბრიკანტულ კლასს აშკარა აზნაურული ელფერი დაედო. ასე, 1773 წ. 328 მსხვილ ფაბრიკიდან, 66 აზნაურებისაა და 46 უცხოელების. მაგრამ ამის გარდა ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდეგს: ჯერ ერთი ის, რომ პროვინციებში მრავალი წვრილი აზნაურული, მეტადრე მაუდის და ტილოსი, როგორც ტვერის გუბერნიაში წარმოებები არსებობდა, და მეორე, რომ აზნაურული ფაბრიკები უფრო მსხვილი იყო. მაგალითათ მაშინ, როცა 305 ფაბრიკაზე (რომელზედაც არის ცნობა) წელიწადში დამუშავებული იყო 1773 წ. სამ ნახევარი მილიონი მ. საქონელი (თითოზე საშვალოთ 10 ათასი მანეთის), მარტო 57 აზნაურულ ფაბრიკაზე ნაწარმოები იყო 1 მილიონზე მეტი მანეთის (თითოზე 20 ათას მანათის). ამ ნაწარმოებების საგნათ იყო წინაიდებური საქონელი, რომელსაც ხმარობდენ ან ხაზინა, ან საზოგადოების შეძლებული ჯგუფები, ე. ი. სალდათური მაუდი, ძვირფასი აბრეშუმი, საწერი ქაღალდი და სხვა.

მუშებათ ამ აზნაურულ ფაბრიკებზე აშკარაა, გლეხი-ყმები იყვენ. ჯერ ბატონი ამისთვის ამუშავებდა იმ გლეხებს, რომელნიც მეტნი იყვენ მეურნეობის წარმოებისათვის. მერე კი, რაკი დარწმუნდა, რომ უკანასკნელზე უფრო გამოსარჩენია დამამუშავებელი წარმოება, მიჰყო მას ხელი. ამიტომ ბატონმა ჩამოაშორა გლეხი მიწას და დააბინავა ფაბრიკაზე. ეს იყო სწორეთ მიზეზი იმ დროის უმიწა-წყლო გლეხობის—პროლეტარიატის გაჩენის. გასაგებია, რომ ფაბრიკაზე მუშაობას არ მიჩვეული გლეხი გაურბოდა მას, ცუდათ ასრულებდა მინდობილ საქმეს. ამას კი ჰყვებოდა დასჯა: გლეხებს აწიწროებდენ, კვირა დღეს ამუშავებდენ და სხვა.

შრომის პირობები საზოგადოთ მეტათ მძიმე იყო. თუ ვაჭარ-ფაბრიკანტებს თავის მუშებთან განწყობილებაში მთავრობას ასე თუ ისე ქონდა ჩარევის უფლება, აზნაურ-ფაბრიკანტების მიმართ არც ეს უფლება არსებობდა. ეს ხომ მათი ბატონურ უფლების შელახვათ გამოვიდოდა. ამ საგანზე მინისტრების კომიტეტმა ისიც 1834 წ. გამოსცა დადგენილებანი, რომლითაც აზნაურებს შეეძლოთ თუ იქნებოდა მაზე მათი ბატონური ნება-ყოფლობა—ესარგებლნათ. გასაგებია, როგორ მოიხმარდენ თავის უფლებებს ექსპლოატაციას დაჩვეულნი აზნაურები.

შემთხვევითი ცნობებიდან, რომელიც მარტო არსებობენ ვოტჩინურ (საბატონო) ფაბრიკებზე ჩანს, რომ მუშები იყოფებოდენ ორ ნაწილათ. როცა ერთი ფაბრიკაში მუშაობდა, მაშინ მეორე მინდორში იყო. ზოგიერთ ალაგებში ასინის მუშათ ქირას სრულიად არ იღებდენ, უმეტეს შემთხვევაში კი იღებდენ, მაგრამ მეტათ მცირედს. ამასთან ამასაც ზოგან ფულათ აძლევდენ და ზოგან კიდევ მოსახმარებელ საგნებით.

მაგრამ ბატონი იღებდა გლეხ-ყმისაგან არა მარტო, როგორც მეურნესაგან, ან თავის ფაბრიკაზე მუშისაგან, არამედ— უფრო მეტათ—როგორც მეხარკისაგან. (ჩვენ უკვე ვიცით რომ შუაგულ გუბერნიებში ეს უკანასკნელები საჭიროებდენ 55 პროც. შეადგენდენ). გლეხი შოულობდა ხარკს ან შინიდან წასვლით და ფაბრიკაში მიქირავებით—მაგალითათ იაროსლავის გუბერნიიდან ყოველ წელს იღებდა პასპორტს და მიდიოდა 70 ათასზე მეტი კაცი—90 პროც. ყველა ვაჟკაცებისა, მოსკოვიდან 50 ათასი—10 პროც. და სხვა. ან არა და გლეხი შოულობდა ხარკს თავის წვრილ წარმოების გაჩაღებით. ეს მოვლენა—გლეხური (კუსტარული) წარმოების განვითარება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შეადგენს მეორე კითხვას, რომელზედაც ბრძოლა მოუხდათ თავად აზნაურებს და ვაჭარ-ფაბრიკანტებს. პირველებისთვის, რასაკვირველია, კუსტარების გამრავლება დიდად სასარგებლო იყო: რაც უფრო შეძლებული იყო გლეხი, მით მეტს წაართმევდა ბატონი. მაგრამ ასევე არ ითქმის ვაჭარ-ფაბრიკანტებზე. მათთვის კუსტარი გამოდიოდა სცენაზე, როგორც კონკურენტი. აზნაურს მსხვილ ფაბრიკანტს გლეხი კონკურენციას ვერ გაუწევდა, რადგან მათი წარმოების საგანი სხვა და სხვა იყო, მაგალით.: საწერი ქაღალდი და საპონი, აბრეშუმი და ქონი და სხვა. სულ სხვა საქმეა ვაჭრების—აზნაურებთან შედარებით წვრილი ქონის, საპონის, ტყავის და სხვა მკეთებელი ზავოდები. და აი ვაჭრები ტირიან კუსტარების გამრავლებაზე და ემუდარებიან მთავრობას კანონით შეაყენოს ის. ასე შუის ვაჭრები სთხოვენ „მოსპეთ გლეხებს ზავოდები, ბოლო მოუღეთ მათ ვაჭრობას“. თავის მხრივ თავად-აზნაურები იცავდენ კუსტარების ვაჭრობას და წარმოების თავისუფლებას. იაროსლავის თ.-აზნაურობა მაგ.—თავის ნაკაზში სთხოვს ნუ დაუშლიან გლეხებს თავის ნამუშევარის ვაჭრობაში. აგრეთვე პერეიასლავის დეპუტატი აზნაური რეტვინი თავის ვრცელ სიტყვაში ამტკიცებს საჭიროებას კუსტარების ვაჭარ მრეწველებისაგან დაფარვას. მკითხველი გაიგებს ვის რა პასუხს მისცემდა აზნაურული მთავრობა. ჯერ სენატის, (258). უქაზით და მერე (225). უმაღლეს მანიფესტით ეძლევა ყოველგვარ სამრეწველო დაწესებულებების თავისუფლება. ამან უფრო შეუწყო ხელი კულტურულ განვითარებას. აქ ჩვენ უნდა მიუთითოთ იმ ფაქტს, რომ ეს განვითარება მჭიდრო კავშირი ქონდა ფაბრიკის განვითარებასთან. ნებით დაქირავებული ფაბრიკაზე გლეხები, ზოგიერთები ისწავლიდნენ რა ხელობას ბრუნდებოდნენ შინ და რადგან ყველაფერი ხელით კეთდებოდა და ბევრჯერ საჭირო ნედლი მასალა როგორც ხელი მაგალითად, შინ იშოვნებოდა, იწყობდენ თითონ, თავის ანგარიშით მასალის დამუშავებას: ხელის რთვას, ტყავის გამოკეთებას, ლურსმნის—როგორც ნიჟეგოროდის გუბერნიაში. ამ ხელობას მალე სხვები გადიწერდენ და აი უკვე ჩნდებოდა მთელი სოფელი კუსტარებისა ადგილობრივ პირობების მიხედვით სხვა და სხვა საგნის დამუშავება იყო გავრცელებული. ტყიან ალაგას მარხილებს, ხის ჭურჭელს, ქილობებს და სხვა ამზაირს აკეთებდენ, ნავით სავალ წყლებს —ვოლგა, კამა, ნაპირებზე, ხომალდებს, ნავებს და გემებს აგებდენ; გავრცელებული იყო საზოგადოთ კუსტარული ხელობა შუაგულ არა-შავ მსუქან მიწიან რუსეთში. კუსტარული საქონლის მასალები უმთავრესად ვაჭრების ხელში იყო, რომელნიც ამონავებდენ მწარმოებელს და საუკეთესოდ ითბობდენ ხელებს.

დასასრულ, მოვიყვანოთ ცნობები განხილულ ხანაში ფაბრიკა-ზავოდების განვითარებაზე. 1762 წ. ითვლებოდა ფაბრიკა-ზავოდი (სამთო ქარხნების გამოკლებით) —948, 1796 წ. —უკვე 3161. ამისთანა გადიდება აიხსნება უმთავრესათ ნებით-დაქირავებულ შრომის შემოღებით.

აი, ამ შრომის განვითარების, მისგან იძულებითი შრომის გამეფების—რაც მოხდა XIX ს. პირველ ნახევარში—შესწავლისაკენ გადავიდეთ ჩვენც.

მე-19 ს. დასაწყისში (1804 წელს) ფაბრიკა-ზავოდური წარმოება ამნაირ სურათს წარმოადგენს: ერთი მხრით არიან მაუდის, საწერ ქაღალდის და რკინეულობის წარმოებები, მეორე მხრით ჩითის და მიტკალის, აბრეშუმის, ტყავის და მსხვილ თოკის გამკეთებელი წარმოებები. რა განსხვავებაა მათ შორის? პირველები მსხვილი დაწესებულებებია: საშუალოთ, თითოზე 164 მუშა ითვლება. თუ ჩვენ მოვიგონებთ ზევით ნათქვამს, რომ მსხვილი დაწესებულებები თ.-აზნაურების ხელში იყო, ჩვენ ვიტყვით, რომ ამ ფაბრიკა-ზავოდების პატრონები უმთავრესათ ბატონურ წოდების წარმომადგენლებია. აშკარაა, რომ ეს ბატონები თავის ყმების შრომით ისარგებლებენ. მართლაც ჩამოთვლილ სამ წარმოებაში სულ 40 ათასი მუშაა, აქედან ყმა —33 ათასი. ამასთან ამ წარმოებების საქონლის მუშტარი იყო თვით ხაზინა, რომელიც ყოველნაირ დახმარებას აწვდიდა.

როგორია ეხლა მეორე რიგის წარმოებები? აქ თითო ფაბრიკაზე საშუალოთ მოდის 16 მუშა. მაშასადამე, წვრილ დაწესებულების რიგს ეკუთვნის. ამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიების ცხოვრებიდან

რ. ს.-დ. მ. პარტიის პეტ. კომიტეტმა პროფეს. კავშირებში ხელმძღვანელობის გასაწევათ არჩია კომისია 4 კაცისაგან. ამ კომისიას დეეკისრა რამდენიმე მოვალეობა: 1) მან უნდა წესიერი ურთიერთობა დაამყაროს პროფ. კავშირების ცენტრ. ბიუროსთან და ცალკე კავშირების გამგეობასთან; 2) მოახდინოს სწორი ანგარიში ს.-დ. პარტიის წევრებისა პროფ. კავშირებში; 3) პირველ შეძლებისთანავე გამართოს კრება პარტიის ყველა წევრებისა, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ კავშირებთან, მუშაობის საერთო გეგმ-ს შესამუშავებლათ; 4) ენერგიულათ გაატაროს პარტიული დირექტივები პროფ. კავშირებში.

რ. ს.-დ. მ. პ-ის ფრანკო-რუსკი რაიონის ორგანიზაციამ პეტერბურგში გამოუშვა საარჩევნო ფურცელი სახელწოდებით „მუშა დეპუტატი". ფურცელში დასაბუთებულია მესამე დუმის ბოიკოტის ტაქტიკის უარყოფა და გარკვეული ის ცვლილება, რომელიც შეტანილ იქნა საარჩევნო კანონში მეორე დუმის დათხოვის შემდეგ.

რ. ს. დ. მ. პ. პეტერბურგის ორგანიზაციების საოლქო რაიონში არჩევნების მოახლოვების დაკვალათ იზრდება ინტერესი პოლიტიკურ ცხოვრებისადმი. მუშები თვითონ იჩენენ კრებების გამართვის თაოსნობას. ცხოვრებაში ტარდება ახალი საორგანიზაციო წესდება, შემუშავებული და მიღებული სარაიონო კონფერენციის მიერ. წესდებაში მთავარი ყურადღება მიქცეულია მასსის თვითმოქმედებაზე. მუშაა უმრავლესობის განწყობილება ბოიკოტის წინააღმდეგია.

ბოლშევიკების ფრაქციას განზრახვა აქვს მოიწვიოს ახლო მომავალში ბოლშევიკთა სრულიად რუსეთის კონფერენცია, პეტერბურგის ბოლშევიკებს უკვე აურჩევიათ თავისი წარმომადგენლი ამ კონფერენციისათვის.

რუსის ხალხის კავშირის მთავარ საბჭოს აუარებელი საჩივრები მისდის პროვინციალურ განყოფილებათა მეთაურებზე. საჩივრებს გზავნიან როგორც კავშირის ცალკე წევრები, ისე თვით მეთაურები, რომლებიც ერთი-მეორეს აბეზღებენ. კინკლაობას იწვევს მათ შორის ფული და ბატონობის სურვილი. კავშირის გამოჩენილ წევრებს ვერას გზით ვერ მოუხერხებიათ ერთიც და მეორეც გაინაწილონ ერთმანეთ შორის და აბრალებენ ერთი-მეორეს გაბატონების სურვილს და უკანტროლოთ პარტიულ ფულების ფლანგვას. ესევე მოვლენა დიდი ხანია შენიშნულია თვით მთავარ საბჭოშიაც. აქ ლიდერები ერთმანეთს ისეთ საქციელსაც კი აბრალებენ, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონი სჯის. კავშირის გამოჩენილ წევრთა ჯგუფმა გადაწყვიტა დაიწყოს „გაწმენდა" მთავარ საბჭოდან, რომ ამ საშუალებით კარგი მაგალითი მისცეს პროვინციის განყოფილებებს. მათ წინადადება შეიტანეს საბჭოში—გამორიცხულ იქნან კავშირიდან პურიშკევიჩი და ვინმე ო. პურიშკევიჩმა ყველას თავი მოაბეზრა თავისი უკმეხობით, „სრულ ძალა-უფლების" ხელში ჩაგდებისაკენ მისწრაფებით და სრული დაუდევრობით ყოველგვარი ანგარიშის შესახებ, განსაკუთრებით იმ ფულის შესახებ, რომელიც პირადათ მას წაუღია პარტიულ კასიდან. ბ-ნი ო. უმახლოესი თანაშემწეა პურიშკევიჩის და ცდილობს ყველაფერში. თავის შეფს ემგვანოს. ამასთან ბ-ნი ო. უბრალო კაცი როდია: მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში. წინადადება ამ ორი „ამხანაგის" გამორიცხვის შესახებ განხილულ იქნა მთავარ საბჭოში, მაგრამ გადაწყვეტილება „ჯერ" საიდუმლოთ არის დაცული.

ბათუმის ქრონიკა

ბათუმის ოლქში 15 სექტემბერს დანიშნულია სოფლის ოლქების, მიწათა წვრილ მესაკუთრეების და მუშების რწმუნებულთა არჩევნები. 28 სექტემბერს—მუშების რწმუნებულთა კრება, ამრჩევლის ასარჩევათ. 29 სექტემბერს—ქალაქის, მიწათ-მფლობელების და აგრეთვე რუსთა კურიის კრებები. სოფლელების რწმუნებულთა არჩევნები დანიშნულია 13 სექტემბერს, ხოლო 27 სექტემბერს მოხდება ქალაქის ამრჩევლების და სოფლების ამომრჩეველთა რწმუნებულების კრებები.

— შანტაჟისტების თავვასულობას აქათაც, საზღვარი არ აქვს. დღე არ გავა ისე, რომ შანტაჟისტობის რაიმე მაგალითი არ გაიგო; ამ დღეებში აქ, აქაურ მცხოვრებს, თფილისის სთავად-აზნაურო ბანკის აგენტს პ. მჭედლოვს, წერილი მოუვიდა „ჯგუფისტების" მ-ერ ხელმოწერილი, რომელშიაც 500 მ. თხოვდენ და ადგილსაც უნიშნავდენ, სადაც ეს ფული უნდა მიეტანა. მჭედლოვი არ შეშინდა და დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა. ვადაზე გ. „ჯგუფისტიც" გამოცხადდა და მჭედლოვს უნდოდა „ჯგუფისტი" ხელდახელ დაეჭირა, მაგრამ ახალგაზდამ გაქცევა მოასწრო. მჭედლოვი დაედევნა და რამდენჯერმე რევოლვერიც ესროლა, მაგრამ ამ დროს შორიახლო მეთვალყურე მეორე შანტაჟისტიც გამოჩნდა და მჭედლოვს უკნიდან სროლა აუტეხა. ვლადიკავკაზის ქუჩა, სადაც ეს ამბავი ხდებოდა, ბრძოლის ველს წარმოადგენდა ამ დროს. სროლამ კარგა ხანს გასტანა, დაჭრით არავინ დაჭრილა, მხოლოდ ერთი „ჯგუფისტთაგანი" ამ ქუჩაზე მდგომ კაზაკებმა დაიჭირეს.

— ადგილობრივ მესტამბის დ. კაპელი სტამბაში მომუშავე შეგირდები ერთ კვირაზე მეტია, რაც გაფიცულნი არიან. გაფიცვის გამომწვევი მიზეზი ის არის, რომ მცირე წლოვან შეგირდებს, რომელთა რიცხვიც ხუთია, ბ. კაპელი განსაზღვრულ ერთ სამუშაოზე არ აყენებს და რა დროსაც, როგორი სამუშაო მოესურვება მას, იმაზე ამუშავებს. მას არ ყოლია საქმის სავსებით მცოდნე არც ერთი სტამბის მუშა. ბ. კაპელს მათი მოთხოვნები ჯერ არ დაუკმაყოფილებია. გაფიცვა გრძელდება.

— ამ წლის 9 ოქტომბერს აქ გაირჩევა საქმე 1905 წ. ქ. ბათუმში ოქტომბერში მომხდარ არეულობის შესახებ, აჯანყებაში მონაწილეობას აბრალებენ ადგილობრივ მოქალაქეებს: ალფესი მიქელაიშვილს, ასლან-ბეგ და თევფიყ-ბეგ აბაშიძეებს, რომელთაც კანონის 102 მ. ძალით ასამართლებენ. ამათგან ასლან-ბეგ აბაშიძე ადგილობრივ სატუსაღოში იმყოფება. დანარჩენნი თავდებობით განთავისუფლებულნი არიან.

— ამის წინათ ქალაქის გამგეობამ მოხსენება წაუკითხა ქალაქის საბჭოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ქ. ბათუმში და მის ახლო მახლო მიდამოებში კლიმატიური სტანციები. მოხსენებაში ვრცლათ იყო დასაბუთებული ისიც, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ასეთ სტანციებს, როგორც ბათუმისთვის კერძოთ, ისე კავკასიისთვისაც და აგრეთვე რუსეთისთვისაც. ამის შესახებ კარგა ხანია, რაც ადგილობრივ ექიმთა საზოგადოებას აღუძრავს საკითხი და ექიმ ტრიანდაფილიდისს ბროშურაც კი დაუწერია. მოხსენება ექ. ტრიანდაფილიდისის თავმჯდომარეობით ექიმებისაგან შემდგარ კომისიას შეუდგენია. მოხსენება ქალაქის საბჭომაც მოიწონა, ხოლოდ საქმის განხორციელება როდის იქნება, არავინ იცის. მოხსენებას სხვათა შორის, გუბერნატორის თანაშემწემაც მოისმინა, რომელიც ამისთვის სხდომაზე დასასწრებლათ ოფიციალურათ იყო მოწვეული.

პროვინცია

ქოლუბანი. (სენაკის მაზრა) როგორც მკითხველებმა იციან, წარსულ გაზაფხულზე, ბევრ ადგილებში მოხდა გლეხების გაფიცვა მემამულეების წინააღმდეგ. მათ მოითხოვეს სახნავ-სათესი მიწები სამეოთხედით, სამეხუთედით და სხვ. იმის მიხედვით, თუ როგორ მოსავალს იძლეოდა მიწა. სოფ. ქოლუბანს, გუგუნავასას და საჭილაოსაც ბევრი სახნავ-სათესი მიწები აქვს ირგვლივ. ეს მიწები ეკუთვნის დადიანს, ლორთქიფანიძეს, ხოლო უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ბანკს. გაზაფხულზე აქაც მოხდა გაფიცვა. მემამულეებმა არ დასთმეს, ამიტომ გლეხებმა შეჰკრეს მჭიდრო კავშირი და არ იმუშავეს, რის გამო მამულები დღემდის დაუმუშავებელი დარჩა. შეშინებულმა მემამულეებმა სხვა და სხვა ღონეს მიმართეს; ლორთქიფანიძემ თავის გაძვერა მოურავის საშუალებით გამართა მოლაპარაკება ზოგიერთ სოფლის ხარჩებთან, რომ იმათ შეესყიდათ მისი მამული. თუ წინათ 100 მ. ნაკლებ არ ყიდდა ქცევას, ახლა 30 მანეთადაც სიხარულით იძლევა. ხარჩებმაც მეზობლების დაუკითხავათ, თითქმის მთელი მამული იყიდეს. ხალხმა შეიტყო თუ არა ეს, დაადგინა, რომ არავინ ეს მიწები არ იყიდოს. აღნიშნულ მიწებიდან მეიჯარეებმა ფულები უკან დაიბრუნონ და კვლავ განაგრძონ გაფიცვა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. ასე მტკიცეთ განაგრძობენ გლეხები მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლას.

3-ს ამ თვეს მოხდა მთელი საზოგადოების კრება, ადგილობრივ მამასახლისის ხელმძღვანელობით. აარჩიეს ათისთავები მესამე დუმისათვის. ხალხმა არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო და ამოირჩია ათისთავებათ სასურველი პირები. შემდეგ მოითხოვეს, გამოქვეყნდა სალდათები და სხვა არა სამეძლო პირები. ერთი [illegible] და მისცეს ხალხს; თუ არ [illegible] აღნიშნულ პირებს, დაჯარიმებულ [illegible] როგორც მშობლები გამოქვეყნულების, ისე მთელი საზოგადოებათ.

სტუმარი.

დ. აბაშა (სენაკის მაზრა). „მოკლეს", „გაძარცვეს", „დააპატიმრეს"—გესმის ყოველ დღე ასეთი გულ-შემზარავი სიტყვები. ისე დღე არ გავლის, რომ რაიმე უბედურება არ დატრიალდეს ამ საზოგადოებაში. კაცი რომ შემთხვევით გადურჩეს, სოფლის ყაჩაღებისა და ქურდბაცაცებისაგან თავს მაინც ვერ დაიფარავს. ამ დღეებში სოფ. ტყვერში მოკლეს ეკლესიის ღამის ყარაულები ჟღენტი და თედორაძე. საქმე ასე ყოფილა: ღამე ყარაულებს დასძინებიათ; მძარცველებს მიპარვია მ. ჩიტეშვილი და ორივესთვის თოფი დაუხლია, და ორივენი მოუკლავს. ეს ამბავი მეორე დღესვე უცნობებია ადგილობრივ ბოქაულისათვის. ბოქაული დასდევნებია მკვლელს და ს. კოდორში დაუმწყვდევიათ ერთ სახლში. ჩიტეშვილისათვის წინადადება მიუციათ გარეთ გამოსულიყო, მაგრამ ის არ დამორჩილებია, რისთვისაც სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ. ჩიტეიშვილი გამოვარდნილა გარეთ მაშინ, როცა ტანისამოსზე ცეცხლი გასჩენია. სტრაჟნიკებს ჩიტეიშვილი მოუკლავთ. ეჭვით დაუპატიმრებიათ ორი კაცი.

— დ. აბაშაში ამას წინათ მოკლეს რ. კაჭარავა, რომლისაც ჯიშიშიას აბრალებენ. ამ საქმეზე დაუჭერიათ რამოდენიმე კაცი, მაგრამ ისევ გაუნთავისუფლებიათ.

— ამ დღეებში დ. სუჯუნაში მოუკლავთ გზაში მამასახლისის თანაშემწე დ. კუცია.

ამის გამო შეუკრებიათ მთელი საზოგადოება, და ალყა შემორტყმული, მშიერ მწყურვალი უკვე ოთხი დღეა იქ უყავთ.

ორი დღეა სენაკის მაზრის უფროსი ასეული კაზაკებით დაბინავდა სუჯუნაში და წინადადება მისცა ხალხს კუციას სასარგებლოთ 2000 მანეთი გადაიხადოს. სანამ ამ აღნიშნულ ფულს არ გადაიხდიან, მანამდი ხალხის ხარჯზე ტოვებენ 100 კაზაკს. ასეთ გასაჭირებაში იმყოფება აქაური საზოგადოება.

— დ. აბაშაში ჩვეულებათ ქონდათ ყოველ წლობით ბაზრობის გამართვა—1 სექტემბრიდან 8-მდე, რომლისაც დიდძალი საზოგადოება ესწრობოდა. უკვე ორი წელია აქ ჩვეულებრივი ბაზრობა აღარ ყოფილა. წელს თუმცა მთავრობამ ვაჭრების თხოვნით ნება დართო, მაგრამ ხალხი მაინც ძლიერ ცოტა იკრიბება. ვაჭრების თხოვნით მშვიდობიანობის დასაცველათ ჩამოიყვანეს ასეული სალდათი ბაზრობის გათავებამდე.

სტუმარი.

თანა წარმოებები კი ჩვენ ვიცით უფრო ვაჭრებს და გლეხებიდან გამოსულ მწარმოებლებს (ამათზე ქვევით) ეკუთვნის. რადგანაც ყმურ შრომით მათ, როგორც არა ბატონებს, სარგებლობა არ შეეძლოთ, ესენი იქირავებდენ ნებით მუშებს. ამიტომ მაშინ, როცა ყველა ამ ოთხ წარმოებაში 24 ათასი მუშაა, თავისუფლათ დაქირავებული 19 ათასია, ესე იგი 47 პროცენტი, ზევით კი 17 პროც. იყო (7 ათასი 40-დან). საქონელი—ჩითი, ტყავი და სხვა—ხალხში საღდებოდა. მის მოთხოვნილებას ფაბრიკანტ-კონკურენტი თვალ-ყურს ადევნებდა, იაფათ საგნის გაკეთებას ცდილობდა. ასეთია პირისახე ამ ორ წარმოების კატეგორიებს შორის. გადავიდეთ მათ განვითარებაზე.

1804 წ.-დან 1825 წლამდე (აქამდინ გვაქვს სამწუხაროთ, მარტო ცნობები) მოხდა შემდეგი ცვლილებანი. ზემოთ აღნუსხულ წარმოებების მუშების საერთო რიცხვი 95 ათასიდან 211 ათასამდე ავიდა, ესე იგი გადიდება 130 პროცენტს შეადგენს. ამ დროს ყმები მუშები აიწიენ 49—96 ათასამდე—(+) 100 პროც. და ნებით დაქირავებულები კი 46—115 ათასამდე, რაც შეადგენს 170 პროც. გადიდებას. ამასთან თუ საშუალო რიცხვი მუშების „იძულებითი" ფაბრიკებზე 164—195 ავიდა, 20 პროც. გადიდება მისცა, ესევე რიცხვი „თავისუფალ" ფაბრიკებზე 16—28-მდე გაიზარდა, მაშასადამე, 75 პროც. გადიდება გამოიღო. აშკარაა განვითარების ხაზი: თავისუფლათ დაქირავებულ შრომისაგან იძულებით შრომის გაძევება.

ამ მოვლენის უფრო კარგათ შესასწავლათ ჩვენ მივმართოთ ერთი მხრით რკინეულობის თ.-აზნაურულ და ყმურ წარმოებას, მეორე მხრით კი ბამბეულობის (ჩითი, მიტკალი) „თავისუფალ" წარმოებას. დავიწყოთ პირველიდან. ამ წარმოებაში 1804 წ. სულ ითვლებოდა 4121 მუშა, რომლიდანაც მარტო 1144 თავისუფლათ დაქირავებული იყო, უმეტესი ნაწილი კი მიწერილი, ზავოდზე ყმები იყო. ეს უკანასკნელნი იყვნენ ნამდვილ მონების მდგომარეობაში. მუშა მუშაობდა მკაცრ დასჯის შიშის ქვეშ, უიმედოთ, რომ როგორმე და როდისმე გამოიკეთებს თავის მდგომარეობას. ბუნებრივია, რომ მისი მწარმოებლობა დიდათ ნაკლებ ნაყოფიერი იყო. ამას მოწმობს რკინის ფასი. 1824 წ. ფუთი რკინა ღირდა 1 მ. და 26 კაპ., 1848 წელს—1 მან. და 27 კაპ. ამავე დროს რკინამ ინგლისში 60 პროც. დაიკლო თავის ფასში.

ამასთანა შრომის უნაყოფიერების მიზეზი იყო აგრეთვე რკინის ზავოდების განსაკუთრებული მდგომარეობა. საქონლის გასაღება „თავის" ხაზინისაგან—რომელიც იყო რკინის მუშტარი—მუდამ შესაძლებელი იყო. რკინის ზავოდი კონკურენციას არ იცნობდა და მაშასადამე, ვერც ისწავლიდა მისგან ჰკუის წარმოების გაუმჯობესებაში. გასაგებია, რომ ამ პირობებში მდგომარე რკინეულობა უკან უკან იწევდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მისი დამუშავება ინგარიშებოდა 8 მილიონ ფუთში, 50 წლების ბოლოში—162 მილიონი. ამ ცნობების მნიშვნელობის გასაგებათ საჭიროა თქმა, რომ ინგლისში ამავე დროს თუჯის წარმოებამ 8 მილ. ფუთიდან—234 მილიონამდე აიწია. 1793 წელს რუსეთიდან გადატანილი იყო საზღვარ გარეთ 2 მილ. 966 ათასი ფუთი; 1851 წელს კი 747 ათასი. ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდა პრივილეგიური წარმოება იძულებითი შრომაზე აშენებული; როგორ ვითარდებოდა კონკურენციის ფარგლებში მომქმედი ბამბეულობა, რომელშიაც 6566 მუშიდან 5436 თავისუფლათ დაქირავებული იყო?

სრულიად წინააღმდეგ პირობებში ის, რასაკვირველია, წინააღმდეგ ნაყოფს მოიხვეჭდა. მართლაც მწარმოებლობა აქ შეუდარებლათ მაღლა იდგა და ჩქარი ევროპის მსგავსი ნაბიჯებით მიდიოდა წინ. ასე 1 ფუთ ნართის (бумажн. пряжа) ფასმა ქალაქ შუიაში 106 მანეთიდან 1822 წელს 64 მანეთამდე დაიწია—4 პროც. დაცემა. ამავე დროს ინგლისში (ქალ. მანჩესტერი, ბამბაზიის бумажная ткань)—რომლის ღირებულობის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი არის ნართი—ფასმა დაიწია 14 შილინგ. და 6 პენსიდან 6 შილინგ და 3 პენსამდე, ესე იგი დაეცა 57 პროცენტამდე. ამისთანა პირობებში წარმოებაც წინ უნდა წასულიყო და რომ ასე ხდებოდა ამას ამტკიცებს შემდეგი: 1812 წ. რუსეთში შემოჰქონდათ ნედლი ბამბა (сырой хлопокъ) 150 ათასი ფუთი, 1826—300, 1846—500 და 1856—600 ათასი ფუთი. როგორც ხედავთ, დასამუშავებელი მასალა და, მაშასადამე, მის დამუშავება წლიდან წლობამდე საგრძნობლათ მატულობს. ეს ზრდა იხსნება საქონლის—ტანსაცმელის მასალის—სიიაფით და ამიტომ მის ვრცლათ ხალხში გავრცელებით.

ამისთანა განსხვავება წარმოებაში მოაქვს შრომის ორგანიზაციის—თავისუფალი თუ იძულებითი—განსხვავებას. ერთი მაგალითი: კუპავინის ფაბრიკაზე ყმა-მუშები ერთ თვეში 6 ცალ ერთგვარ მაუდისას აკეთებდენ, თავისუფლათ დაქირავებული კი ამავე დროს და ამგვარივე მაუდის 10 ცალის წარმოებამდე ადიოდენ. ეს ადვილათ გასაგებია თუ მივიღებთ მხედველობაში გინდ სამუშაო ქირის რაოდენობას. მაშინ, როცა ზედ მიწერილი (ყმები) მუშები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იღებდენ თვეში—ჩვენ ფულზე რომ ვიანგარიშოთ—5 მ. და 64 კ., თავისუფლათ დაქირავებულების თვიური ქირა 10 მანეთამდე ადიოდა. ერთ და იმავე ფაბრიკაზე—მაგალითათ ფრიანოვისაზე—პოსესიური მუშები წელიწადში 185 მ. და „თავისუფლები" კი 350 მ. აყენებდენ. მაგრამ მაინც არც უკანასკნელები იყვნენ სახარბიელ მდგომარეობაში. ესენიც ხომ კიდევ ყმები იყვნენ ან ხაზინის ან ბატონის. ბევრი იყო მაგალითი, რომ უკანასკნელისაგან ფაბრიკანტი თითონ იქირავებდა გლეხს და აძლევდა ხარკს. ასე, მოჟაისკის მაზრაში ბატონი წელიწადში 25 მან. იღებდა თითო მექირავებულ მუშაში.

რომ მონობა და მაღალი მწარმოებლობა ერთი მეორესთან მოუთავსებელი—, ამ ჭეშმარიტების შეგნება დაიწყეს თვით „იძულებითი" ფაბრიკა-ზავოდების პატრონებმა ე. ი. თავად აზნაურებმა და მსხვილ პოსესიურ ფაბრიკანტებმა (ამ უკანასკნელებს ნება არ ჰქონდათ, როგორც ჩვენ ვიცით ყმების ყიდვაზე, მაგრამ წინათ ნაყიდი ან ზედ მიწერილი გლეხი-ყმები ისევ ყმებათ რჩებოდენ).

და აი იწყება ყმურ მდგომარეობიდან ნებით—დაქირავებულ მდგომარეობაში მუშების გადაყვანა. 17 პროც. ნებით დაქირავებულ მუშების „იძულებითი" წარმოებაში 1804 წელს 1825 წლისთვის 19 პროც. გადიქცა. როგორც ხედავთ ბატონებმა ჭკუა ისწავლეს. ზემოხსენებულ ხანის მერე პირდაპირი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ მეორმოცე წლების მეთვალყურეები—მაგალითათ ბუტოვსკი—მოწმობენ, რომ მემამულეები უფრო ძვირათ მიმართავდენ იძულებითი შრომას და თავისუფალ შრომაზე ჩერდებოდენ. რაც შეეხება პოსესიურ ფაბრიკანტებს, ისინი უფრო მედგრათ იდგენ მუშის „განთავისუფლების" გზაზე და თხოვნას თხოვნაზე აძლევდენ ამაზე მთავრობას. ცნობილია მაგალითათ ნაზაროვის 1823 წ. თხოვნა, აგრეთვე ვაჭარ ხლებნიკოვების და სხვა. ამეებს მოყვა კანონები 1824 წ. და 1835, რომლითაც ნება ეძლეოდა ფაბრიკანტს ყმებ-მუშების დათხოვაში. 1833 წ. სახელმწიფო საბჭო პირდაპირ სცნობს, რომ „ეხლა, როცა უბრალო ხანშიაც გავრცელდა ფაბრიკული წარმოება, და რიცხვი თავისუფალ მუშების და ხელოსნების სიჩქარით იზრდება, მოსახერხებელია და უფრო სასარგებლოა ფაბრიკანტისთვის მუშების ქირით დაჭერა, მანამ თავის ყმების საკუთრების ან ზედ მიწერილების შოვნა". 1840 წელს გამოიცა კანონი, რომლითაც სავსებით ადვილდებოდა ყმა მუშების თავისუფლათ გადაქცევა: ხაზინა ზღავდა მუშების ყიდვის დანახარჯს.

ამნაირათ მოხდა თავისუფალ შრომის გამარჯვება იძულებითზე.

როგორი იყო მთელ ამ განსახილავ ეპოქაში ფაბრიკა-ზავოდურ წარმოების განვითარება? ორმოც წლებამდე მუშების რიცხვი და ფაბრიკის სიდიდე წინ მიდის: 1815 წ. რიცხვი მუშების—173 ათასი იყო, თითო ფაბრიკაზე 41 მუშა; 1825 წ.—211 ათასი, 40 მუშა; 1830 წ.—254 ათ., 47; 1836 წ.—324 ათ. 51 მუშა თითო ფაბრიკაზე, 1840 წ.—436 ათასი და თითოზე 63; 1845 წ.—506 ათ. და 61 თითოზე—მუშების რიცხვის ჯერ კიდევ ზრდა, მაგრამ უკვე ფაბრიკის დაპატარავება. ეხლა 40 წლების მერე: 1850 წ.—502 ათასი მუშა და 51 თითოზე; 1854 წ.—460 ათ. და 46 თითო ფაბრიკაზე და დასასრულ, 1861 წ.—522 ათ. მუშა და 37 თითო ფაბრიკაზე. როგორც ხედავთ, ამ ციფრებში აშკარათ ჩანს ხაზი—ფაბრიკის 40 წლების მერე დაქუცმაცება, დაქვეითება. რითი აიხსნება ეს ნათელი განსხვავება ფაბრიკის განვითარებაში ორმოც წლებამდის და მის მერე?

კუსტარულ წარმოების განვითარებით. გადავიდეთ მის განვითარებაზე.

ლ. ა.

(შემდეგი იქნება)

საარჩევნო კამპანია.

არჩევნების გეგმა. 1 და 2 სექტემბრიდან დაწყებული არჩევნების პირველი საფეხური—რწმუნებულთა არჩევნები, გასტანს სექტემბრის დამლევამდე. გუბერნიების უმეტეს ნაწილში რწმუნებულთა არჩევნები დანიშნულია თვის პირველ ნახევრის უქმე დღეებში და მხოლოდ ზოგან, რწმუნებულთა არჩევნები გადადებულია სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის. არჩევნების მეორე საფეხური—ვიბორშჩიკების არჩევა დაიჭერს სექტემბრის მეორე ნახევარს—16-დან 30-მდე, ამასთან საარჩევნო სიეზდების უმეტესი ნაწილი დანიშნულია ისევ კვირა დღეებში 23, 26 და 30 სექტემბერს.

მოსკოვის გუბერნიაში 23 სექტემბრისათვის დანიშნულია საარჩევნო სიეზდები როგორც სხვილ მემამულეთათვის, ისე ორივე კურიის ქალაქის ამრჩეველთათვის. ამნაირათ, 23 სექტემბერს, მთელ მოსკოვის გუბერნიაში მოხდება ვიბორშჩიკების არჩევნები საგუბერნიო საარჩევნო კრებისათვის.

ქ. კრემენჩუგის მუშათა კურიაში, მუშათა რწმუნებულებათ არჩეულ იქნენ სულ ოპოზიციის წარმომადგენლები და უკიდურესი მემარცხენენი.

ბოგოროდსკშიაც მუშათა რწმუნებულების არჩევნები ასეთივე შედეგებით დამთავრდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუბერნიაში გლეხთა და მუშათა რწმუნებულებათ უმეტეს ნაწილათ არჩეულ იქნა პროგრესისტები.

ელისავეტგრადი. მოხდა სამაზრო სამღვდელოების რწმუნებულთა არჩევნები. არჩეულ იქნა 19 რწმუნებული. არც ერთი მათგანი თავის პარტიას არ ასახელებს.

მოსკოვის გუბერნიის გლეხთა არჩევნებში, მეორე დუმის არჩევნებთან შედარებით, ამ ჟამათ უფრო ბევრი მემარცხენე რწმუნებულები გასულან. ამას თვით პეტერბურგის სააგენტო მოწმობს საზოგადოთ-კი მოსკოვის გუბერნია ცნობილია მემარჯვენე გუბერნიათ და არც ერთი არჩევნების დროს მას მემარცხენეები ბლომათ არ მოუცია.

3 სექტ. მოხდა პეტ. გუბ. **ფაბრიკა-ზავოდების წარმომადგენელთა კრება** მუშათა კურიის ამომრჩეველთა გამოსარკვევათ. კრებაზე გამოირკვა, რომ ბეფერსის და კიბელის ქარხნებს გარდა, რომლებიც ს.-რ.-ების ბოიკოტისტურ გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ყველა დანარჩენები მონაწილეობას იღებენ არჩევნებში.

დიდი გულგრილობა არჩევნებისადმი, გამოუჩენიათ წვრილ მემამულებს ბესარაბიის გუბერნიაში, რომელიც მეორე დუმის არჩევნების დროს შავრაზმელებმა ჩაიგდეს ხელში. არ შემდგარა მთელი რიგი სამაზრო კრებისა ამომრჩეველთა მოუსვლელობის გამო და გადადებულ იქნა 14—16 სექტემბრისთვის. ბენდერში კრებაზე გამოცხადებულა მხოლოდ ერთი ამომრჩეველი, ხოლო ორგეებში ათას ამომრჩეველთაგან ერთიც არ მოსულა.

მოსკოვში კადეტები შემდეგ პირებს ასახელებენ თავის კანდიდატებათ: ქალაქის პირველ კურიაში—ასტროვს, თავ. პ. დოლგორუკოვს, დუხოვსკოის, კიშკინს, ჩელნოკოვს და ნ. შჩეპკინს; მეორე კურიაში—ბაჟენოვს, კიზევეტერს, მაკლაკოვს, მანდელშტამს, ტესლენკოს და მ. შჩეპკინს. ეს კანდიდატები წინდაწინ წარედგინებათ პლებისციტის წესით კენჭის საყრელათ პარტიის ყველა მოსკოველ წევრებს და რომელი კანდიდატებიც მეტ კენჭს მიიღებენ, პარტიაც იმათ კანდიდატურას წამოაყენებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა გუბერნიებს და ქალაქების უფროსებს მიწერილობა, რომ სისწორით სრულდებოდეს ყველა წესები წინასწარ საარჩევნო კრებების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გუბერნატორებს მიწერილობა დაუგზავნა—დაუყოვნებლივ ცნობები შეკრიბეთ ხალხის განწყობილების და დუმის მასალოდნელ შედგენილობის გამოსარკვევათო. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია პოლონეთს, კავკასიას და ვოლგის ზოგიერთ გუბერნიებზე, რომლებმაც პირველ და მეორე დუმაში უკიდურესი მემარცხენე დეპუტატები გაგზავნეს.

სტამბების რევიზია. სტამბების ინსპექტორებს ნაბრძანები აქვთ დრო-გამოშვებით დაათვალიერონ ხოლმე სტამბები, რომ არალეგალურ პარტიებს საშუალება არ მისცენ საარჩევნო მოწოდებები ბეჭდონ.

რუსეთის ამბები

უმაღლეს სასწავლებლებში. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭომ გამოაცხადა განცხადება, რომ 11 ივლისის წესების ძალით სტუდენტების ყრილობა შეიძლება გაიმართოს მხოლოდ რექტორის ან პრორექტორის ნებართვით. ამასთან განცხადება უთითებს იმ სერიოზულ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოყვეს ამ წესების დარღვევას.

— სტუდენტთა ს. დ. ჯგუფმა განიხილა კითხვა იმის შესახებ, თუ რა ტაქტიკას უნდა დაადგეს სტუდენტობა 11 ივლისის წესების შესახებ. მენშევიკები ბუნდოვლებთან ერთათ საჭიროთ ცნობდენ გამოყენებულ იქნას ყველგვარი ლეგალური საშუალება; უჩვენებდენ, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხში საჭიროა მიზნის შესაფერი მოქმედება და ყოველ გადადგმულ ნაბიჯის შედეგებს კარგათ უნდა ვითვალისწინებდეთო. ამ შეხედულობის ძალით სტუდენტთა სოც.-დემ. ნაწილის უფლება არ აქვს მოიწვიოს სტუდენტები გამოცხადებითი წესით გამართულ ყრილობაზე, რადგან წინდაწინ არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას, რა შედეგი მოყვება ასეთ ყრილობას, და ასეთი ტაქტიკა ყველაზე უფრო ხელს შეუწყობს სტუდენტების ხელმძღვანელ წრეებში დეზორგანიზაციის შეტანასო. ბოლშევიკები საჭიროთ ცნობდენ მოქმედებას „რევოლიუციონური“ გზით და იმას, რომ სტუდენტების ხელმძღვანელმა დაწესებულებებმა კვლავ განაგრძოს არსებობა წინანდებურათ გამოცხადებითი წესით და უყურადღებოთ დატოვონ ლეგალური საშუალებანი, რადგან ამით მხოლოდ დასტური მიეცემა სტუდენტებისათვის შეუწყნარებელ წესებსო. კენჭის ყრის დროს მიღებულ იქნა მენშევიკური ტაქტიკა 74 ხმით 71-ის წინააღმდეგ. მაშინ რ. ს. დ. მ. პ.-ის პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა კამათში, განაცხადა—ასეთი გადაწყვეტილება არ შეიძლება დადასტურებულ იქნას პეტ. კომიტეტის-მიერ, რომელმაც ამ კითხვის შესახებ წინააღმდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა, და ეს კომიტეტი თვის ვეტოს (აკრძალვას) ადებს სტუდენტების გადაწყვეტილებასო. მენშევიკ სტაროსტებმა უპასუხეს—პეტ. კომიტეტს არა აქვს ამის უფლებაო, უნივერსიტეტის საქმეთა საზღვრებში სტუდენტთა სოც.-დემ. ჯგუფი ავტონომიურია (დამოუკიდებელია), და ამიტომ არც სტაროსტებს, არც ჯგუფს თავისთვის სავალდებულოთ არ მიაჩნია კომიტეტის ვეტოო. ამაზე პ. კ—ის წარმომადგენელმა განაცხადა: რადგან ს.-დ. სტაროსტები არჩევნებზე პარტიულ სიებით არიან გასული, ახლა-კი არა სურთ დაემორჩილონ პარტიულ დირექტივას, ამიტომ მე, პ. კ—ის წარმომადგენელი, ყველას ვინც კი ვეტოს არ ემორჩილება, ვაცხადებ პარტიის გარეშეო.

— ყოფილი დეპუტატები სამართალში. 27 სექტემბერს კიევის სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს მე-2 დუმის დეპუტატებათ ნამყოფ გლეხების კრასილიუკის და ხოზოვენკოსას, რომელთაც ბრალდებათ მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემის გავრცელება.

— 4 მარტის დროებითი წესები კავშირების და საზოგადოებათა შესახებ მოკლე ხანში, როგორც,ისმის, გადასინჯულ იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, რომ ეს წესები შეცვლილ იქნას მუდმივი კანონით.

— სინოდმა დაუგზავნა ეპარქიებს დადგენილება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საეპარქიო უფროსების მოხსენებით, სოფლებში შენიშნულია ხალხის მხრივ მტრული განწყობილება სამღვდელოების მიმართ, რაც იმაში გამოიხატება, რომ გლეხები უარს ამბობენ მღვდელ-მოქმედებისათვის ფულის გადახდაზე, უპატივცემლოთ ექცევიან მღვდლებს და სხ... ამის გამო სინოდი ურჩევს ეპისკოპოსებს წინადადება მისცენ თავის ხელქვეით მღვდელ-მოქმედთ დაჟინებით ნუ მოითხოვენ ფასს მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის და ნუ მოკრეფენ გადასახადს ჭირნახულით. მრევლთან კი, რაც შეიძლება, გულითადი განწყობილება დაამყარონ.

სოფლათ.

აგრარული მოძრაობა. ვორონეჟის და კურსკის გუბერნიებში აგრარულ მოძრაობის გამო, ის მემამულენი, რომლებსაც ამ გუბერნიებში მამულები აქვთ, დაუყოვნებლივ გაეშურენ პეტერბურგიდან თავიანთ სოფლებში.

რუსის ხალხის კავშირის თარეში კიევში. მემარჯვენე პარტიებს კიევში ამ ბოლო დროს გაუძლიერებიათ აგიტაცია. თითქმის ყოველ დღე თურმე კრებებს მართავენ და ამასთან ერთათ, გაუხშირებიათ თავისებური თარეშიც. თითქმის ყველა მათი კრებები ქუჩებზე უწესობის გამართვით თავდება, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს შავრაზმელ ახალგაზრდობის ორგანიზაცია „ორთავიანი არწივი“. ამ ორგანიზაციის წევრები დათარეშობენ ქუჩა-ქუჩა რეზინებით ხელში და უმოწყალოთ სცემენ გამვლელთ, ვინც-კი ხელში მოხვდებათ.

ეპისკოპოსის მუქარა. ვიატკის საეპარქიო სიეზდმა „მოუსვენარი“ ხასიათი მიიღო და თავისი სხვა და სხვა გვარი მოთხოვნებით საქმე გაუჭირა ეპისკოპოსს. სიეზდის დეპუტატს ეპისკოპოსმა ასეთი სიტყვებით მიმართა: „სულელთა-ფერი სამღვდელოების ბრალია, რომელიც მე უმიზეზოთ მემტერება... გაფრთხილებთ—ჩემთან ეგრე მოქცევა არ გარგიათ, ეს განხეთქილებას გამოიწვევს. ხოლო ვინ უფრო ძლიერია—ეპისკოპოსი თუ სამღვდელოება—ამას ვნახავთ, მარშან ჩემზე დეპეშა გაგზავნეთ სინოდში, მაგრამ აბა, რა გამოვიდა?“...

მეორე დუმის ს.-დ. ფრაქციის საქმე, როგორც გაზ. „სტოლ. უტრო“ სარწმუნო წყაროდან გაუგია, გარჩეულ იქნება არა უზენაესს, არამედ ჩვეულებრივ სასამართლოს მიერ.

გადასახლებულ გლეხების რაოდენობა. მიმდინარე წლის პირველ 6 თვის განმავლობაში ციმბირში გადასახლებულა 432,601 კაცი. მარტო პოლტავის გუბერნიიდან გადასახლებულა 34,218 კაცი, 4 ათასით მეტი იმაზე, რაც გუბერნიას მცხოვრებთა რიცხვი ემატება ყოველ წლივ, და ისიც, მხოლოდ ნახევარ წლის განმავლობაში.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

ცნობილმა კლარა ცეტკინმა ამ რამდენიმე ხნის წინ ბერლინში სოციალისტ ქალთა კონფერენციაზე ვრცელი რეფერატი წაიკითხა—„ქალთა საარჩევნო უფლებაზე“. ეს რეფერატი ახლა ცალკე წიგნათ გამოსულა. აღნიშნულ საკითხზე თვით შტუტგარტის ინტერნაციონალურმა კონგრესმაც უკვე იქონია მსჯელობა და საკითხა, რა თქმა უნდა, ქალთა სასარგებლოთ გადასწყვიტა. როცა ბურჟუაზიული წრის ქალთა კონგრესები დასახელებულ საკითხს შეეხებიან ხოლმე, მუდამ იმას ამტკიცებენ, რომ ქალთა საარჩევნო უფლების ასე თუ ისე გადაჭრა არ შეადგენს და არც შეეფერება პოლიტიკურ კონგრესის კომპეტენციას; ეს ბუნებისმეტყველთა კონგრესის საქმეა და არა პოლიტიკურის. ბურჟუაზიული ქალთა კონგრესები და საერთოთ მთელი ბურჟუაზიული იდეოლოგები, ქალთა საარჩევნო უფლების საფუძვლათ ასახელებენ ქალის ორგანიზმის თანასწორობას მამაკაცის ბუნებასთან შედარებით.

მხოლოდ მარქსიზმის დიადი ღვაწლია, რომელმაც ქალთა საკითხი თანამედროვე ეკონომიურ განვითარების ნაყოფთათ აღიარა. თვით კლარა ცეტკინაც გერმანიაში, ერთი იმ ქალთაგანია, რომელმაც საზოგადოთ ქალთა კითხვა ამ მხრივ გაარკვია. მან თვის უკანასკნელ ნაწარმოებშიაც ქალთა საარჩევნო უფლების პრობლემას თანამედროვე კლასთა ბრძოლის თვალთა-ხედვის ისრით შეხედა.

კაპიტალისტურ წარმოების წესის განვითარება მთელი თავის აუცილებლობით პროლეტარიატის მუდმივ ზრდა-განვითარებას და გამუდმებით ეკონომიურ წინააღმდეგობის გაღრმავებას ნიშნავს. გარდა იმისა, რომ რევიზიონისტ-ოპორტუნისტები კრიტიკულათ არკვევენ მარქსის თეორიას, მის ძირითად დებულებებს, მაინც მათი თეორიული კრიტიკა ვერ ცვლის ცხოვრების რეალურ მსვლელობას—ფაქტებს, რომლებიც ამართლებს მარქსის მიერ წამოყენებულ ტენდენციას.

მაგრამ ეს ერთათ-ერთი განვითარების ტენდენცია არაა, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმმა წარმოშობა. რომ ეს ერთათ-ერთი ტენდენცია იყოს, მაშინ პროლეტარიატს უკვე დიდიხანია ხელში უნდა ჰქონდეს ჩაგდებული პოლიტიკური ძალა, ვინაიდან იგი დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორც ინგლის-საფრანგეთში, მთელი საუკუნოება იბრძვის ამისთვის.

კაპიტალიზმი არ წარმოშობს მხოლოდ მებრძოლ პროლეტარიატს, იგი ბადებს აგრეთვე ისეთ ფაქტორებს, რომლებიც პროლეტარიატის ზრდა-განვითარებას აფერხებს, დრო-გამოშვებით მთლათ აჩერებს ხოლმე.

მართალია კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთათ იზრდება საერთო მცხოვრებთა გაპროლეტარება-გაუვლეფა და ექსპლოატაცია, მაგრამ უფრო ჩქარა და სწრაფათ იზრდება უილაჯო და ლუმპენპროლეტართა რიცხვი, რომელთაც ერთობ აკლიათ ბრძოლის უნარი.

პროლეტარიატის გაძლიერებასთან ერთათ იზრდება კაპიტალის ძალა, უკანასკნელი ყოველ შემთხვევაში სწრაფათ იზრდება, ვიდრე მებრძოლი პროლეტარიატი. პროლეტარიატის გამუდმებითი ზრდა და შეკავშირება იწვევს აგრეთვე კაპიტალისტთა გამუდმებით ზრდა-განვითარებას, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ბრძოლაში; ორგანიზაციული მოძრაობა კაპიტალისტთა შორის უფრო სწრაფათ ხდება, ვიდრე პროლეტარიატში, ამისთვის კაპიტალისტთა ძალა-უფლება უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე პროლეტარიატის.

ამგვარათ, კლასობრივი ბრძოლა შრომას და კაპიტალს შორის თითქოს რაღაც დაუსრულებელი პროცესი იყოს, თითქოს ეს ბრძოლა ვერ მიიყვანდეს პროლეტარიატს სახელმწიფოში და საზოგადოებაში გაბატონებამდის, თითქოს შრომას და კაპიტალს შორის ატეხილი ბრძოლა თანდათან ღრმავდებოდეს, თანდათან ღრმა ნიადაგზე დგებოდეს. მაგრამ ეს მხოლოდ ასე გვეჩვენება, ეს ჩვენ ასე გვგონია. არც ერთი წინააღმდეგობა არ არის, რომელიც უსაზღვროთ,გადაუწყვეტლათ იზდებოდეს. დადგება ის დრო, როცა ასეთი წინააღმდეგობა აუტანელი შეიქნება—ბოლო მოეღება. ამასთანავე შრომასა და კაპიტალს შორის ის განსხვავება არსებობს, რომ მუშათა კლასი არა დროს არც ერთ ბრძოლაში არ მოისპობა, ყოველ დამარცხების შემდეგ იგი უფრო მეტს ძალას იკრეფს, მჭიდროთ კავშირდება.

იმ დრომდის, სანამ პროლეტარიატი საბოლოვოთ არ გაიმარჯვებს, ყოველი მისი წინსვლა, ყოველი მისი წინ გადადგმული ნაბიჯი, იწვევს ბურჟუაზიის მესაფერ გაძლიერებას, მის გამაგრებას, ღრმავდება კლასობრივი წინააღმდეგობა და იზრდება და სასტიკი ხდება ბრძოლის იარაღები.

ერთობ დიდი შეცდომაა, როცა ზოგიერთები ფიქრობენ, რომ პროლეტარიატი თან და თანობით თვალსა შეუმჩნევლათ გადადის სოციალიზმის სამეფოში, თანდათან ერთს პოზიციას მეორეზე იპყრობს და მით კაპიტალისტურ ბატონობის ასპარეზს თანდათან მეტათ ამცირებს—ავიწროებს.

მუდამ, შრომასა და კაპიტალს შორის, როგორც ვსთქვით, წინააღმდეგობა მწვავდება, პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა თვალსაჩინოთ მარტივდება: ერთ მხარეს დგება პროლეტარიატი, მეორე მხარეს ბურჟუაზიული კლასები, რომლებიც მუშათა კლასის წინააღმდეგ ერთ რეაქციონერულ მასსას წარმოადგენს

მართალია ამგვარი ტენდენცია, ჭეშმარიტათ არსებობს, მაგრამ ამან უკვე წარმოშობა თავის მოწინააღმდეგე ტენდენცია. რამდენათაც პროლეტარიატის ძალა და გავლენა იზრდება სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, იმდენათ საჭიროთ სცნობენ ბურჟუაზიული კლასები მცხოვრებთა მასსა დაიმორჩილონ, თავის სასარგებლოთ ორგანიზაცია მოაწყონ. თუ რომ სოციალდემოკრატია და პროფესიონალური კავშირები მოუწოდებენ შეგნებულ, დამოუკიდებელ და ხასიათ-მტკიცე პროლეტარიატს, მათ გაძლიერებაზე ამყარებენ მთელ თავიანთ იმედს; ბურჟუაზიული პარტიები მოუწოდებენ შეუგნებელ, დამოკიდებულ მუშებს რაზმავენ მათ შეგნებულ პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ხშირათ ჩვენი მოწინააღმდეგენი—ბურჟუაზიული სოციალდემაგოგები—თვითონ მუშებს პროფესიონალურ კავშირებით აერთებენ, მხოლოდ მოწყობილ გაფიცვისთვის კი არა, არამედ მოწყობილ ფიცის გატეხისათვის. დღეს საფრანგეთში ბურჟუაზიული მთავრობა ერთი ან ორ „მოქნილ“ სოციალისტ მინისტრის პორტფელს აძლევს მუშათა კლასის გადასაბირათ; აგრარულ ქვეყნებში, როგორც ბავარიაში ან ავსტრო-უნგრეთში, ულტრამონტანებს და ქრისტიან სოციალისტებს ეგონათ, დიდებულ პოლიტიკურ გეშეფტებს გააკეთებდენ, უკეთუ ისინი მთავრობის საშუალებით მუშათა საყოველთაო საარჩევნო უფლებას დააკანონებდენ; დაბოლოს ზოგიერთ სახელმწიფოში უცაბედათ წამოყენებულ იქნა ქალთა საარჩევნო უფლების პრაქტიკულათ განხორციელება. ყველა ზევით ჩამოთვლილ საშუალებებით ბურჟუაზიული პარტიები და მათი ყურ-მოჭრილი მთავრობა ცდილობს თავის კლასობრივ ინტერესების დაცვა-განმტკიცებისთვის; ისინი ამგვარ ზომებით ცდილობენ პროლეტარიატის პოლიტიკურათ შეუგნებელ ელემენტების შეკავშირებას მებრძოლ მუშების წინააღმდეგ, მათ ორგანიზაციით თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობის დასუსტებას.

თუ რა გავლენა იქონია საფრანგეთში სოციალისტურ მინისტრიალიზმმა, ეს დღეს ყველასათვის ცხადია. ავსტრო-უნგრეთელი ულტრამონტანები პროლეტარიატის საყოველთაო საარჩევნო უფლების საშუალებით შეეცადენ თავის ავტორიტეტის მასსაში გაძლიერებას, სოციალდემოკრატების მონარქიასთან დამეგობრებას... დღეს ქალთა საყოველთაო საარჩევნო საკითხის წამოყენება ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიებისაგან უბრალო ხერხია პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის შეჩერებისათვის; იგი ქალთა საარჩევნო უფლების მოპოვებით ლამობს პროლეტარიატის პოლიტიკურ უფლების შესუსტებას. კლარა ცეტკინას ზევით დასახელებული ბროშიურა საუცხოვო ნაწარმოები, სადაც, ზედმიწევნით მცოდნე პროლეტარულ ქალთა მოძრაობას, მეცნიერულად არკვევს ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ქალთა მოძრაობის მიზეზებს, ნათლათ გვიჩვენებს ორთავე მოძრაობის განსხვავებას და მათ მნიშვნელობას. რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ იმათგანისთვის ქალთა საარჩევნო უფლებას. წიგნაკში მკაფიოთ არის აღნიშნული რა განზრახვამ აიძულა ზოგიერთა ქვეყნების ბურჟუაზიული პარტიები, პროლეტარებთან ერთათ, ქალთა საარჩევნო უფლება მოეთხოვათ. ცეტკინა ხაზგასმით აღნიშნავს იმასვე, რაც ჩვენ ზევით ვსთქვით. იგი ამბობს, რომ ბურჟუაზიული რეფორმატორ-პოლიტიკები ქალთა საარჩევნო უფლების დაკანონებით არ ეძიებს მაღალ მიზანს, ეს არ არის მისთვის პრინციპიალური საკითხი, ამით იგი შემთხვევით დემაგოგიას აწარმოებს, რათა ამის საშუალებით პროლეტარიატი არივ-დარიოს, შიგ დეზორგანიზაცია შეიტანოს და სხვა... ბურჟუაზიის ასეთ ქვენა მიზანს კლარა ცეტკინა აუარებელ საბუთებით ამტკიცებს თავის წიგნაკში და მკითხველის შემეცნებას ქალთა საარჩევნო უფლება ფრიად აფართოებს.

შვარცი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.).

11 სექტემბერი.

არჩევნები

კალუგა. მიწათ-მფლობელთა სიეზდმა 11 მაზრაში აირჩია 95 რწმუნებული. ამათგან 13 ოქტომბრისტი, 4 კადეტი, 6 მონარქისტი, 7 მემარჯ. 26 უპარტიო, 18 მონარქისტების თანამოაზრე და სხ.

ვლადიმირი. ვლადიმირსკის, ალექსანდროვსკის და მელენკოვსკის მაზრებში აირჩიეს 86 სოფლის რწმუნებულები. 1 კადეტი, 6 ს. დ., 27 თავის თავს მემარჯვენეს უწოდებს, 31 უპარტიო, 4 მემარცხენე.

იმავე მაზრებში აირჩიეს 16 მუშათა რწმუნებული. ამათგან 12 კაცი თავის თავს მემარჯვენეს უწოდებს, სხვები კი უპარტიოს.

რეველი. 11 საზოგადოებაში აირჩიეს 228 რწ. ამათგან 10 მემარჯვენეს უწოდებს თავის თავს, 71 უპარტიოს, 11 მემარცხენეს.

პოლტავა. პოლტავის მაზრაში აირჩიეს 20 რწმუნებული, აქედან 1 ს. დ. 17 მემარჯ. 2 მემარცხ.

პეტერბურგი. პეტერბურგის, ნოვოლადოგის, პეტერგოფის, ცარსკოე სელოს, შლისენბურგის და იამბურგის მაზრებში არჩეულია 23 მუშათა რწმუნებული. 2 ს.-დ. 4 უპ. 9 უპ. მემარც. 8 მემარცხენე.

კამენეც-პოდოლსკი. არჩეულია 64 რწმუნებული: 2 პეშ. რუსი, დანარჩენების ვინაობა გამოურკვეველია.

პენზა. მოკშანსკის და ჩემბარსკის მაზრებში არჩეულია 92 სოფლის რწმუნებული. მათი პარტიული ვინაობა გამოურკვეველია.

სარატოვი. სასულიერო პირთა სიეზდმა აირჩია 100 რწმუნებული. 3 კადეტი, 85 მემარჯვენეთ წოდებული, 3 უპარტიო და 9 მემარცხენე.

ვლადიმირი. აირჩიეს 58 მუშათა რწმუნებული. 9 კადეტი, 1 ს.-რ. 15 ს.-დ. 5 მონარქისტი და სხ.

ლოძი. 10 სექტემბერს დილით დახვრიტეს 8 მუშა, რომლებსაც ბრალათ სდებდენ ზილბერშტეინის ფაბრიკის პატრონის მოკვლას.

პეტერბურგი. ვილნოს ოლქში სამინისტრო ხსნის 600 პირველ დაწყებითი სკოლას.

ვარშავა. ოხრანოე განყოფილებამ დაიჭირა სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიული ბიურო ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირისა.

რიგა. ალექსანდროვის ქ. გაჩხრეკის დროს პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს და მოკლეს გოროდოვოი. პოლიციამ თავის მხრით მოკლა მსროლელი და ერთი ქალი.

ჟიტომირი. დაბა პიატკაში თავს დაესხნენ ურიადნიკს და დასჭრეს. მკვლელებს გლეხები დაედევნენ. გაქცეულებმა სროლა ასტეხეს და ექვსი მდევართაგანი დასჭრეს. ერთი მათგანი მოკვდა. მსროლელები დაიჭირეს მაგრამ ისე მაგრათ სცემეს, რომ სამივენი გარდაიცვალნენ.

ხოლერა.

ნიჟნი-ნოვგოროდი: ავათ გახდა 4—მოკვდა 3. ეპიდემიის გაჩენიდან ავათ გახდა 302, მოკვდა 133.

სიმბირსკი. ავათ გახდა 4—მოკვდა 2.

სარატოვი. მთელ გუბერნიაში ავათ გახდა 41 კაცი, მოკვდა 25.

სამარა. ეპიდემიის გაჩენიდან ავათ გახდა 310 კაცი, მოკვდა 169.

რედაქტორ-გამომცემელი
ს. ჩხარტიშვილისა.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკის № 1.